# საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

## ბრძანება №210/ნ

**2024 წლის 26 დეკემბერი**

**ქ.თბილისი**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ**

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილებით დამტკიცებული „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები:

ა) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ქართულ ენაზე) ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ინგლისურ ენაზე) ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკი ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლების,**
**მეცნიერებისა და ახალგაზრდობის** **ალექსანდრე წულაძე**
**მინისტრი**